

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები

კურიკულუმი

ფაკულტეტის/სკოლის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	ლექსიკოგრაფიის მაგისტრი Master of Lexicography
პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა(სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი/120 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2022 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პროფესორი თინათინ მარგალიტაძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
კონკურსანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. ასევე კონკურსანტმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ფარგლებში მოწმდება სტუდენტის ინგლისური ენის კომპეტენცია (B2) და მისი დარგობრივი ცოდნა. დეტალური ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“, რომელიც თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge.	
პროგრამის მიზნები	
სამაგისტრო პროგრამის მიზანია საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით მოამზადოს ლექსიკოგრაფი, რომელიც დარგობრივი ცოდნისა და უნარების გამოყენებით, დამოუკიდებლად შეძლებს სიტყვის მნიშვნელობის კვლევას, სალექსიკონო სიტყვა-სტატიის შესაქმნელად საჭირო მონაცემების მოძიებას, დამუშავებას და გარდაქმნას სალექსიკონო სიტყვა-სტატიად თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით; დამოუკიდებლად შეძლებს კვლევის განხორციელებას თეორიული ლექსიკოგრაფიის სხვადასხვა მიმართულებით ქართული ლექსიკოგრაფიის აქტუალური ამოცანების ეფექტურად გადაჭრის მიზნით და იქნება კონკურენტუნარიანი კადრი პროფესიულ საქმიანობაში. პროგრამა და მასში მონაწილე აკადემიური პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს „ლექსიკოგრაფიის ევროპული სამაგისტრო პროგრამის“ (EMLEX, European Master in Lexicography) საერთაშორისო კონსორციუმთან	

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული / კურსდამთავრებულს:

1. ავლენს სისტემურ ლინგვისტურ ცოდნას ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული თეორიებისა და კვლევის მეთოდების შესახებ;
2. შეუძლია ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული დარგის წინაშე მდგომი აქტუალური ამოცანებისა და მათი გადაჭრისთვის რელევანტური კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების იდენტიფიცირება;
3. შეუძლია გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები (ტექსტური კორპუსები, ლექსიკონების მართვის სისტემები, მონაცემების ავტომატურად და ნახევრადავტომატურად დამუშავების პროგრამული ინსტრუმენტები და სხვ.);
4. შეუძლია საერთაშორისო ლინგვისტური, ლექსიკოგრაფიული და ტექნოლოგიური სტანდარტების შესაბამისად მუშაობა ორენოვან, განმარტებით და ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე, აგრეთვე პარალელურ და ერთენოვან ელექტრონულ კორპუსებზე;
5. შეუძლია კლასიკური ლექსიკოგრაფიული მეთოდებისა და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების კომბინირება ლექსიკოგრაფიული, აგრეთვე ტექსტურ კორპუსებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაჭრელად;
6. შეუძლია ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
7. შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება, და ამ კუთხით, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;
8. შეუძლია პროფესიული განვითარების მიზნით, საკუთარი სწავლის პროცესისა თუ პროფესიული საქმიანობის ეფექტური შეფასება და მონიტორინგი, სწავლის საჭიროებების განსაზღვრა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამის, **ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები**, ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი შემდეგი სქემის მიხედვით:

- სავალდებულო კურსები - 54 კრედიტი;
- არჩევითი კურსები - 36 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.

სწავლების მეთოდები

სასწავლო პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ინტერაქციული ლექციები და სემინარები;
- ანალიზი და სინთეზი;
- პროექტები;
- დისკუსია/დებატები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ცალკეული შემთხვევის ანალიზის მეთოდი (case study);
- ინდივიდუალური მუშაობა;
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდი და სხვა.

შენიშვნა: პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

შეფასების წესი

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა;
- (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების დეტალური სისტემა, შეფასების მეთოდების, კომპონენტების და კრიტერიუმების გათვალისწინებით გაწერილია კურსის/კომპონენტის სილაბუსში/კონცეფციაში.

დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს:

- ლექსიკოგრაფიული პროფილის სამეცნიერო ცენტრებში ან ინსტიტუტებში;
- როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, სადაც არის ტერმინოლოგიური და მთარგმნელობითი მუშაობის საჭიროება;
- ბეჭდური და ელექტრონული გამომცემლობების სფეროებში;
- ბეჭდური და ელექტრონული ჟურნალისტიკის სფეროში;
- სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ამასთან, პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მისი მუდმივად განახლებადი უცხოენოვანი ლიტერატურის ფონდით, უახლესი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით, ლექსიკონებით, აუდიო-ვიზუალური მასალით; ასევე ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები)
- უნივერსიტეტში არსებული კომპიუტერული სწავლების ლაბორატორია;
- უნივერსიტეტის „ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი“
- უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ცენტრი;
- უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ცენტრის მიერ შექმნილი პროგრამული რესურსები;
- სალექციო აუდიტორიები;
- არგუსი; Turnitin და E-learning;
- აკადემიური წერის ცენტრი: <https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/>;
- პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული იქნება EMLEX-ის პროგრამის ფარგლებში შექმნილი რესურსები;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზები.

პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება შემდეგი რესურსები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი“, „სულაკაურის გამომცემლობა“, ფინანსთა სამინისტროს აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი, IDM ჯგუფის პროექტებში.

სამაგისტრო პროგრამის მუშაობაში ჩართულები არიან „ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის“ საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრები:

- პროფესორი პიუს ტენ ჰაკენი, ინსბრუკის უნივერსიტეტი, ავსტრია
- პროფესორი დონა ფარინა, ნიუ ჯერზის უნივერსიტეტი, აშშ

- დოქტორი ზაქარია ფურცხვანიძე, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი
- პროფესორი არლეტა ადამსკა-სალაციაკი, ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტი, პოლონეთი
- პროფესორი შტეფან შირჰოლცი, ერლანგენის უნივერსიტეტი, გერმანია (EMLex-ის პროგრამისა და კონსორციუმის დამაარსებელი და კოორდინატორი)
- პროფესორი რუფუს გოუესი, სტელენბოსის უნივერსიტეტი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

პროგრამა: ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები

პროგრამის კურსების ჩამონათვალი

#	კურსები	სტატუსი (სავ., სავ./არჩ., არჩ.)	ლექტორი	წინაპირობა	კ რ ე დ ი ტ ე ბ ი	ს ა კ ო ნ ტ · ს თ · ს ა ა თ ე ბ ი	სემესტრები	
							შემ	გაზ
სავალდებულო კურსები - 54 კრედიტი								
1	სიტყვის მნიშვნელობა და მისი კვლევის მეთოდები	სავალდებულო	თინათინ მარგალიტაძე		6	32	x	
2	ლექსიკოგრაფიის ჟანრები	სავალდებულო	გიორგი მელაძე		6	32	x	
3	კორპუსის ლინგვისტიკა და კორპუსზე დაფუძნებული ლექსიკოგრაფია	სავალდებულო	სოფიო დარასელია		6	46	x	

4	ლექსიკოგრაფია და ლექსიკოლოგია	სავალდებ ულო	თინათინ მარგალიტაძ ე	„სიტყვის მნიშვნელობა და მისი კვლევის მეთოდები“	6	32		x
5	ტერმინოლოგია: ისტორია, მეთოდები, თანამედროვე ტექნოლოგიები	სავალდებ ულო	თინათინ მარგალიტაძ ე		6	32		x
6	ლექსიკოგრაფიის ისტორია	სავალდებ ულო	გიორგი მელაძე		6	32		x
7	პრაქტიკული კურსი ზოგად ლექსიკოგრაფიაში	სავალდებ ულო	გიორგი მელაძე	„სიტყვის მნიშვნელობა და მისი კვლევის მეთოდები“; „კორპუსის ლინგვისტიკა და კორპუსზე დაფუძნებული ლექსიკოგრაფია“	6	108	x	
8	პრაქტიკული კურსი სპეციალიზებულ ლექსიკოგრაფიაში	სავალდებ ულო	გიორგი მელაძე	„ტერმინოლოგია: ისტორია, მეთოდები, თანამედროვე ტექნოლოგიები“	6	108	x	

9	ენა და ტექნოლოგიები	სავალდებულო	ირინა ლობჯანიძე		6	32	x	
არჩევითი კურსები - 36 კრედიტი								
10	პრაქტიკული ლექსიკოგრაფია	არჩევითი	თინათინ მარგალიტაძე		6	32		x
11	კომპიუტერული ლინგვისტიკა: ტექსტის ანალიზი (ENG.)	არჩევითი	სუ იანგ კვონ		6	32	x	
12	ტექსტის ანალიზი და მეგა-მონაცემთა დამუშავება (ENG.)	არჩევითი	სუ იანგ კვონ		6	32		x
13	პროგრამირება ჰუმანიტარებისათვის	არჩევითი	ირინა ლობჯანიძე		6	32		x
14	სემინარი: ციფრული გამოცემა	არჩევითი	ირინა ლობჯანიძე		6	32		x
15	თარგმანმცოდნეობა	არჩევითი	ნინო მატარაძე		6	32	x	
16	ლინგვისტური პრაგმატიკა	არჩევითი	რეზო მარსაგიშვილი		6	32	x	
17	ქართული ჟესტური ენა	არჩევითი	თამარ მახაროზიძე		6	32	x	
18	ენა და სტილი	არჩევითი	თამარ სუხიშვილი		6	32		x
19	სემინარი ქართული ენის სისტემურ მორფოლოგიაში	არჩევითი	რუსუდან გერსამია		6	32		x
20	ენის პრაქტიკული კურსი C 1 (1) (ინგლისური)	არჩევითი	ნინო რუხაძე		6	77	x	
21	ენის პრაქტიკული კურსი C 1 (2) (ინგლისური)	არჩევითი	მიხეილ გევორქიანი	ენის პრაქტიკული კურსი C 1 (1) (ინგლისური)	6	77		x

22	ენის პრაქტიკული კურსი C 1 (3) (ინგლისური)	არჩევითი	მიხეილ გევორქიანი	ენის პრაქტიკული კურსი C 1 (2) (ინგლისური)	6	77	x	
23	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი C1.1	არჩევითი	ანიკა ფრეეზე		6	77	x	
24	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი C1.2	არჩევითი	ანიკა ფრეეზე	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი C1.1	6	77		x
25	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი C1.3	არჩევითი	ანიკა ფრეეზე	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი C1.2	6	77	x	
26	ენის პრაქტიკული კურსი C1 (1) (ფრანგული)	არჩევითი	ნატო ბალავაძე		6	77	x	
27	ენის პრაქტიკული კურსი C1 (2) (ფრანგული)	არჩევითი	ნატო ბალავაძე	ენის პრაქტიკული კურსი C1 (1) (ფრანგული)	6	77		x
28	ენის პრაქტიკული კურსი C1 (3) (ფრანგული)	არჩევითი	ნატო ბალავაძე	ენის პრაქტიკული კურსი C1 (2) (ფრანგული)	6	77	x	
29	ენის პრაქტიკული კურსი C1 (1) (ესპანური)	არჩევითი	თამარ ბესელია		6	77	x	
30	ენის პრაქტიკული კურსი C1 (2) (ესპანური)	არჩევითი	თამარ ბესელია	ენის პრაქტიკული კურსი C1 (1) (ესპანური)	6	77		x
31	ენის პრაქტიკული კურსი C1 (3) (ესპანური)	არჩევითი	თამარ ბესელია	ენის პრაქტიკული კურსი C1 (2) (ესპანური)	6	77	x	
32	ენის პრაქტიკული კურსი C1 (1) (იტალიური)	არჩევითი	ოდიშვილი როზა		6	77	x	
33	ენის პრაქტიკული კურსი C1 (2) (იტალიური)	არჩევითი	ოდიშვილი როზა	ენის პრაქტიკული კურსი C1 (1) (იტალიური)	6	77		x
34	ენის პრაქტიკული კურსი C1 (3) (იტალიური)	არჩევითი	ოდიშვილი როზა	ენის პრაქტიკული კურსი C1 (2) (იტალიური)	6	77	x	
<i>*სტუდენტს საკუთარი ინტერესის გათვალისწინებით შეუძლია ისწავლოს იტალიური, ფრანგული, ესპანური, გერმანული ან ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი</i>								
21	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო			30			x

ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი

	სახელი და გვარი	სტატუსი	ელექტრონული ფოსტა
1	თინათინ მარგალიტაძე	პროფესორი	tinatin.margalitadze@iliauni.edu.ge
2	ირინა ლობჯანიძე	პროფესორი	irina_lobzhanidze@iliauni.edu.ge
3	ნინო მატარაძე	ასოცირებული პროფესორი	nino.mataradze@iliauni.edu.ge
4	რეზო მარსაგიშვილი	პროფესორი	rezo_marsagishvili@iliauni.edu.ge
5	თამარ მახარობლიძე	პროფესორი	tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge
6	თამარ სუხიშვილი	ასოცირებული პროფესორი	tamar.sukhishvili@iliauni.edu.ge
7	რუსუდან გერსამია	ასოცირებული პროფესორი	rgersamia@iliauni.edu.ge
8	გიორგი მელაძე	მოწვეული ლექტორი	giorgi.meladze.4@iliauni.edu.ge
9	სოფიო დარასელია	მოწვეული ლექტორი	s.daraselia@leeds.ac.uk
10	სუ იანგ კვონ	მოწვეული ლექტორი	soyoung.kwon@iliauni.edu.ge
11	როზა ოდიშვილი	მოწვეული ლექტორი	roza.odishvili@iliauni.edu.ge
12	თამარ ბესელია	მოწვეული ლექტორი	tamari.beselia@iliauni.edu.ge
13	ნატო ბალავაძე	მოწვეული ლექტორი	nato.balavadze@iliauni.edu.ge
14	ანკა ფრეზე	მოწვეული ლექტორი	nino.tsulaia@iliauni.edu.ge
15	ნინო რუხაძე	მოწვეული ლექტორი	nino_rukhadze@iliauni.edu.ge
16	მიხეილ გევორქიანი	მოწვეული ლექტორი	mikheil.gevorkiani@iliauni.edu.ge